ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1-180

აგვისტო №20 (14) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 ივლისს, პეტრე-პავლობის დღეს, გერმანიიდან დამტენიმული ნინო მურჯანაძე უმალ მშობლიური კუთხის პრობლემებში ჩაერთო. ლეჩხუმიდან სასოლ-დასოლად მოქმნილი „დელეგაცია“ გულთმილად მიგვიღო და მეკრი რამის მოგვარებასაც დაგვპირდა.

დიას, შესვედრა გასცდა ოფიციალურ ჩარჩოს... ქალმაფონ ნინოსთან ვიზიტი გასლდათ ურთიერთმოთვრების, ლეჩხუმისადმი სითმოს, სიყვარულის გამოვლენის რამდენიმე საათი.



14 ივლისს, დაბადების დღეს, საქართველო კიდევ ერთხელ მოეფერა მზიანი გულების მწერალს **ნოდარ დუმბაძეს**, კიდევ ერთხელ შეამკო მისი საფლავი ყვავილებითა და ცრემლით.

უკეთესი რა უნდა შემოგთავაზოთ, მკითხველო. ნოდარ დუმბაძის ერთი პატარა წერილი „სამშობლო“, ვფიქრობთ, ყველაზე მეტად მოესალბუნება თითოეული ჩვენთაგანის სულს.

ინფორმაცია, ინფორმაცია

2002 წლის 18 ივლისს გაიმართა ცაგერის რაიონის გამგეობის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: რაიონის გამგებელი ბატონი ონერ ნემსწვერიძე, გამგებლის მოადგილეები, სოფლის საკრებულოთა ხელმძღვანელები, განყოფილებათა გამგეები.

გამგეობის სხომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

2002 წლის I ნახევარში რაიონის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი შედეგების, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისა და ეკონომიკის გაჯანსაღების უახლოესი ამოცანების შესახებ.

მ/წლის 22 ივნისს და 4 ივლისს სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ზარალის შესახებ.

სახელმწიფო ქონების მართვის რაიონული განყოფილების ანგარიშის შესახებ.

რაიონში ელექტროენერგიის მიწოდებაზე გრაფიკის დაწესების შესახებ.

ცაგერის რაიონის მოსახლეობის უსაფრთხო გარემო პირობების უზრუნველსაყოფად ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების ღონისძიებათა გატარების შესახებ.

გამოჩენილი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოწყობის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ.

ინტერვიუ

„ძალზე მძიმეა ხელმძღვანელის ტვირთი“

ეს დღე საკმაოდ დატვირთული იყო რაიონის გამგებლისათვის. როგორც იქნა, გვიან საღამოს დავიმარტოხელეთ, გულითადად მიგვიღო და საუბარიც გულახდილი გაიმართა. ვფიქრობთ, ინტერვიუც შედგა.

რაიმეს კომენტირებას არ ვაპირებთ. მით უფრო, ონერ ნემსწვერიძის პერსონას არა გვგონია, წარდგენა სჭირდებოდეს მკითხველის წინაშე. უბრალოდ, ჩვენი ინტერესის სფეროში შედის კვლავაც გამგებლის ამპლუაში რას ეტყვის ივი საზოგადოებას, რა ორიენტირებს, რა სასიკეთო ძვრებს ხედავს წინ.

ერთს ვიტყვით მხოლოდ: ჩვენი რესპოდენტი ბოლომდე იყო ძალზე გულახდილი, გულწრფელი, არ ცდილა საკუთარი თავისა თუ გაკეთებულის რეკლამირებას.

ბატონო ონერ! გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქციისა და მკითხველის სახელით ერთხელ კიდევ მოგილოცავთ გამგებლის თანამდებობას. გთხოვთ გულწრფელად გვიპასუხოთ: ელოდით თუ არა გამარჯვებას?

გმადლობთ, უნდა გითხრათ, რომ ეს ის არჩევნები იყო, რომელიც პირველად გადავიტანე, საკუთარ თავზე. ამდენად დადებითიც ბევრი მომცა და უარყოფითიც. თითქმის ყველა ამომრჩეველთან მომიხდა შეხვედრა, ამდენად ღრმად ჩავწვდი ადამიანთა ფსიქოლოგიას. უნდა ვაღიარო, რომ საარჩევნო კანონი, ჩემის აზრით, ვერ არის ბოლომდე დახვწილი. კარგი იქნებოდა მაჟორიტარული წესით ყოფილიყო არჩევა. მით უფრო გამგებლის თანამდებობა არ უნდა იყოს არჩევითი. არჩევნების დამთავრებისთანავე ვიგრძენი, რომ არჩეულ კაცს მეტს სთხოვენ, ხალხს გარანტია უნდა. გაძლევ ხმას?—ხვალ შენ დამჭირდები და აუცილებლად უნდა დამეხმარო—ასეთია ე.წ. „გარიგება“. პირველ ხელმძღვანელს ნებისმიერ შემთხვევაში ევალება ადამიანთა დახმარება, მაგრამ ამის შესაძლებლობები რომ არ არის, ეს არის საშინელება.

რაც შეეხება კითხვას—გამარჯვებას ვინც არ ელოდება, ის კენჭსაც არ იყრის. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას დიდი ნდობისთვის.

ბუნებრივია, დიდი ნდობა დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი ტვირთია, მით უფრო თქვენ აგერ უკვე 3 წელია გამგებლის თანამდებობაზე მუშაობთ. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი გამარჯვება?

ამ კითხვაზე გამიჭირდება პასუხის გაცემა. იცოდეს ღმერთმა, ისეთი კაცი არა ვარ, ვინმესთან მივსულიყავი. უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობებს დიდად ვცემ პატივს. ალბათ, ამომრჩეველი უკეთ იტყვის—რა კრიტერიუმით მომეცა ერთხელ კიდევ შანსი რაიონის პირველი ხელმძღვანელი მერქვას.

ახლა რაც მთავარია: კანონი „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ რაიონების დამოუკიდებლობისკენ არის მიმართული. ჩვენს შემთხვევაში ეს ძნელი იქნება. რაიონში სულ სამი საკრებულოა, რომელთაც ასე თუ ისე შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობებით თავი გაიტანონ და ელემენტარულად ხალხს რაღაც გაუკეთონ. ორი წელია ლეჩხუმში მოსავალი არ მოსულა, ხალხს საარსებო წყარო არ აქვს. ასეთ პირობებში ავტონომია ვერაფერი შეღავათია.

რაკი ადმინისტრაციული მოწყობის სიახლეზე ჩამოაგდეთ სიტყვა, ერთი კითხვაც: როგორ უყურებთ სამხარეო მოწყობის მექანიზმს, ხომ არ მიგაჩნიათ ზედმეტ რგოლად საერთოდ და რამდენად მძიმეა და მოუხერხებელი ჩვენი რაიონისათვის სამხარეო მექანიზმის კანონებით ცხოვრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—ლეჩხუმი—ეს პატარა ეთნიკური ერთეული ხომ არ გამოიკარგა სამხარეო სტრუქტურაში?

როცა დამოუკიდებელი ვიყავით, ლეჩხუმი ეკონომიური ფაქტორითაც კი არ ჩამოუვარდებოდა მეზობელ რაიონებს. თავმოსაწონებელი კი ბევრი გვქონდა და გვაქვს: ჩვენი ისტორიული, კულტურული წარსული და ა.შ. მაშინაც გამოკარგული ვიყავით და ახლა ხომ—თავისთავად. განათლებული კაცი რომ იტყვის—ლეჩხუმი სად არის, არ ვიცით, სირცხვილია. ერთხელ სახელმწიფო კანცელარიაში კომპაქტურ რუკას შევავლე თვალი, სადაც ლეჩხუმი საერთოდ არ იყო აღნიშნული.

სამხარეო მოწყობას რაც შეეხება, ჩემის აზრით, ამ ინსტიტუტმა ამოწურა თავისი. ალბათ, ამიტომაც მზადდება ტერიტორიული მოწყობის ახალი კანონიც.

რაც შეეხება ჩვენს არსებობას სამხარეო სტრუქტურაში, ძალზე და ყოველმხრივ მოუხერხებელია. ამაზე ბევრჯერ გვითქვამს. ამასთან აუცილებელია მაკონტროლებელ ორგანოთა კოორდინაცია, თორემ მეტის ატანა მართლაც აღარ შეუძლიათ ისედაც გაჭირვებულ რაიონებს.

თუ რამ დადებითის თქმა შეიძლება ამ ინსტიტუტზე, გუბერნატორი გვყავს კარგი. მისი პიროვნული ფაქტორი ბევრს განსაზღვრავს.

მიუხედავად უმძიმესი სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფონისა ჭეყანაში და ადგილობრივად რაიონში, თქვენი სამოქმედო პროგრამიდან რა პრიორიტეტებს გამოყოფდით, უფრო მარტივად—რა სასიკეთო პროცესებს უნდა ელოდეს ლეჩხუმი და ლეჩხუმელები?

უნდა გულახდილად გითხრათ,

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ნინო ბურჯანაძე: აუცილებლად გნახავთ ლეჩხუმში!

ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრას ჩვენ მხოლოდ ერთი კვირა ველოდით, სხვები ალბათ თვეობითაც დგანან რიგში, საბედნიეროდ, გამონაკლისები აღმოჩნდით.

◆◆◆

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ცაგერისა და სვანეთის მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, როცა რაიონის არა მარტო სულიერ, ყოფით პრობლემებსაც გადახედა, მიხვდა——მხოლოდ ადგილობრივი ხელმძღვანელობა მარტო ვერაფერს გახდებოდა და მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი კარლო შუშკუდიანის „შუამავლობით“ პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა დაგეგმა. ამ დელეგაციაში მის მაღალყოვლადუსამღვდელოესთან, დეპუტატთან, გამგებელთან ერთად ჩვენც მოვხვდით——ლალი ასათიანი და ქვემორე ხელის მომწერნი.

„საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთს ომი გამოუცხადა“——მასმედიამ ასე ააღერა ბერლინის ვიზიტის შედეგი, რომელსაც საერთაშორისო რეზონანსიც მოჰყვა და რუსების დიდი შეშფოთებაც. ბერლინიდან ახალდაბრუნებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ჩვენთან შეხვედრის დროსაც ისაუბრა ამის შესახებ. ჩვენი თვალსაზრისის დაფიქსირებას ნამდვილად არ ვაპირებთ ქალბატონ ნინოს რუსეთთან მიმართებაში მკაცრი განაჩენი გამოუტანეს თუ არა, მხოლოდ იმას დავაფიქსირებთ, რომ „ომის აყალმაყალისა და ქაოსის“ საპირისპიროდ ჩვენი ვიზიტი მშვიდობიან, დაზავებულ, წყნარ გარემოში პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში შედგა...

ქალბატონ ნინოს საზოგადოების წინაშე (მით უმეტეს ლეჩხუმის წინაშე) არც წარდგენა სჭირდება და არც რეკლამირება. დამეთანხმებით, ამას ყველანაირი იმიჯმეიკერის დაუხმარებლად თავად ახერხებს. „თვალით ნანახი“ ხომ უფრო აორმაგებს შეხედულებას... ქალბატონი ნინო ღიმილით, სითბოთი შემოგვეგება კაბინეტის კარის ზღურბლზე და სიყვარულით მოგვიკითხა ლეჩხუმელები. ასეთმა გულთბილმა დასაწყისმა საერთოდ მოგვიხსნა ის განცდა, რომელიც ნებისმიერს ახლავს დიდ ადამიანთან შეხვედრის დროს. მაგიდასთან მხოლოდ ლეჩხუმელები ვისხედით... მიუხედავად იმისა, რომ მეუფე ნიკოლოზი გენეტიკურად ლეჩხუმიდან შორს იმყოფება, არ გადავჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ნამდვილი ნაღდი, გულაღტკინებული ლეჩხუმელის ამპლუაში მოგვეელინა, რადგან სულიერი გადასახედიდან იგი ყველაზე დიდ ლეჩხუმელს წარმოადგენს. თვალშისაცემი იყო თუნდაც ის, რომ განსაკუთრებული მოწიწებით პარლამენტის თავმჯდომარე მის მაღალყოვლადუსამღვდელოესს შეხვდა, რომელმაც ქალბატონ ნინოს ქრისტესმიერი სიყვარულით მიულოცა პეტრე-პავლობა და მოკრძალებული საჩუქარიც გადასცა.

გაიმართა დიალოგი, რომელიც ცაგერში პატრიარქის სტუმრობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა. ქალაქის დამახინჯებული იერ-სახის აღდგენაზე ვისაუბრეთ, კულტურის სახლზეც, რომელიც „გარედან მტერს უვსებს თვალებს, შიგნიდან მოყვარეს“, მთავარი პრობლემა კი სკამებია, რომლის შეძენა სოლიდურ თანხასთანაა დაკავშირებული. ქალბატონ ნინოს პასუხი კი ასეთი იყო: „პატრიარქის სტუმრობისას მეც აუცილებლად ვეწვევი ცაგერს. რაც შეეხება მთავარ პრობლემას——სკამებს, ყველა ღონეს გამოვიყენებ, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს. დავუკავშირდები კულტურის მინისტრს ქალბატონ სესილი გოგიბერიძეს და ვფიქრობ, ეს პრობლემა მოგვარდება. მე მცდელობას არ დავაკლებ“. ამის შემდეგ რაიონის გამგებელმა ლასურიაშის გზასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარესთან, რომელმაც აღუთქვა, რომ პირადად დააყენებდა ამ საკითხს პრეზიდენტთან. ამ დელეგაციაში რაიონის დეპუტატის სტატუსი აღნიშნული საკითხის შესახებ წერილი გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს. რა ზომები იქნება მიღებული, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს...

თუ გადაჭარბებულად არ მონათლავენ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან მეუფე ნიკოლოზს, დეპუტატს და გამგებელს გარკვეული ურთიერთობა აქვთ (თითოეულისათვის მასთან შეხვედრა პირველი არ ყოფილა) ჩვენ კი, პირველად შევხვდით, ვიგრძენით რომ თითქოს ამ ადამიანთან დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. მისი გამოსათხოვარი სიტყვები კი ასეთი იყო: „გოგონებო, აუცილებლად გნახავთ ლეჩხუმში!..“ ვფიქრობთ, ასეთი გრძნობა იმიტომ დაგვეუფლა, რომ ჯერ ერთი მეუფე ნიკოლოზმა რაღაც განსაკუთრებული, ჩვენთვის მოულოდნელი, სიტყვებით წარგვადგინა პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე, მეორეს მხრივ კი ქალბატონ ნინოს გარეგნულ სილამაზესთან და კდემამოსილებასთან ერთად ღმერთმა დიდი შინაგანი სილამაზეც მისცა... ღვთის ეს ჯილდო კი მას საშუალებას აძლევს თანამდებობაზე მაღლა ადამიანებთან ურთიერთობაში საამკარაოზე სითბო და სიყვარული გამოიტანოს.

ეკატერინე ბენდელიანი
მარინა სვანიძე

საქეიოჯლო

ნ. დუმბაძე

ახლა აღარ მახსოვს კარგად რომელ კლასში ვიყავი, მეოთხეში თუ მეხუთეში.

——დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო ამაყენა და მკითხა მასწავლებელმა.

——სამშობლო... სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე და...

——კიდევ?——ჩამეკითხა მასწავლებელი, ძალიან დიდხანს ვიფიქრე,——დაჯექი დუმბაძე——მითხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღირსე.

——არ დამიწეროთ, მასწავლებელო, ორი ვიცი და ვერ ვამბობ,——შევეხვეწე მე და ტირილი დავიწყე. ტირილი იმიტომ დავიწყე, რომ ფრიადოსანი ვიყავი და წესით ყველაფერი უნდა მცოდნოდა. მახსოვს, ძლივს დამამშვიდა მასწავლებელმა. მერე რაფიელ ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ აგვიხსნა და საზეპიროდ მოგვცა.

დაახლოებით ოცდახუთი-ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. საზღვრის წინა ხაზზე ვიდექით მე და ჩემი ხელქვეითი ჯარისკაცი. სულ პატარა ღელე და ხიდი გვყოფდა მოპირდაპირე ქვეყნიდან.

——აი, შენ კარაბინით რომ დგახარ აქ და ამხელა ქვეყანას, რომ დარაჯობ, რა შეგრძნება გაქვს, რას ფიქრობ, ან თუ იცი საერთოდ, რა არის სამშობლო?!——ვკითხე ჯარისკაცს,——ოღონდ, თუ კაცი ხარ, არ გამცე დაშტამპული, მაღალფარდოვანი, გაცვეთილი და ყალბი პასუხი. გულწრფელად თქვი ის, რასაც ფიქრობ!——ვთხოვე მე. მან დიდხანს უყურა გაღმა ნაპირს, მერე მომიბრუნდა და ხმადაბლა მითხრა:

——რა ბედნიერებაა, ამხანაგო ლეიტენანტო, მე და თქვენ რომ ამ ხიდის გამოღმა დავიბადეთ.

მაინც რა არის სამშობლო?

იქნებ მართლა რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია, „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!“ მაშ, იმხელა ლექსი რაღად დაწერა? ეს ორი სტრიქონი დასკვნაა მხოლოდ თუ ფორმულა?

ან იქნებ აკაკის „განთიადია“ სამშობლო!... ან ვაჟას სიმღერა——„სამშობლოს, არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდრასაც კი გაეცინება!“

ვფიქრობ, სამშობლო დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი არის, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახია“, პაატა საკაძეა, ქეთევანის დაშანთული მკერდი, თამარის გვირგვინი და „ვეფხისტყაოსანია“...

იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია——ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.

რაც მე მახსოვს და ვიცი, სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული. რომელი ერით ჩამოვთვალო! ინტერვენცია, სამოქალაქო ომი, ჩემი კაცობის თეთრი ტაძრის, უნივერსიტეტის ყავისფრად გადაღებვა, რათა ფაშისტებს ციდან არ შეემთნიათ და არ დაებომბათ, მერე გაუთავებელი შიმშილი, სიშიშვლე და სიდუხჭირე, რიგები, ჩემი ტოლი გოგობიჭების სახრჩობელებზე ასვლა, ტყვიამფრქვევის ამბრაზურებზე აფარება, დაღუპულთა ცნობები, მერე იმედის პატარა ნაპერწკარი, პირველი გერმანელი ტყვე და ქალაქში უფეხო, მაგრამ ფრონტიდან დაბრუნებული, პირველი დაბრუნებული ყავარჯნიანი ჯარისკაცების გავლა...

კიდევ რა არის სამშობლო?

თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება——ეს არის სამშობლო.

კიდევ?

კიდევ: ძაღლი, კატა, ხბო, წიწილა, ურემი, ნაჯახი, მიწა ხელში რომ აიღებ და ძირს დაყრა დაგენანება, ის მიწა.. თბილისის პატარა უბანი, ღილიდან საღამომდე რომ ვერ გახვალ ქუჩის ბოლომდე, იმდენი მეგობარი შეგვხვდება, მოგიკითხავს და მოგეალერსება.

კიდევ რა——სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში წახვიდე...

როგორც ჩანს, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია... მეგობარო, გაჩერდით ერთი წუთით, მიპასუხეთ, რას განიცდით ამ წუთში და, საერთოდ, რა არის სამშობლო?

——ვაჩერებ ქუჩაში გამვლელს.

——მე მეკითხებით?——მეუბნება განცვიფრებული გამვლელი.

——დიახ, თქვენ, იქნებ არ იცით?

——როგორ არ ვიცი, მაგრამ ასე უცებ, დაუფიქრებლად ქუჩაში...

——დიახ, ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

——ასე უცბად, დაუფიქრებლად და ქუჩაში სამშობლოსათვის სიკვდილი შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო, არ შეიძლება, ბატონო,——მიპასუხებს ის და ჩქარი ნაბიჯით მცილდება.

——იქნებ შენ მაინც მითხრა, რა არის სამშობლო?——ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას.

——მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს, ნენა... სამშობლო ალბათ სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი–მიპასუხებს იგი.

ჯვრიჯობა

წმიდა მოწამენი კვირიკე და ივლიტა მცირე აზიაში, ქალაქ იკონიაში ცხოვრობდნენ. დიდებული გვარის ჩამომავალი ივლიტა ქრისტიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და ერთადერთ ძეს——ჩვილ კვირიკეს კეთილმსახურებთ ზრდიდა. როცა იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305წწ.) მართლმორწმუნეთა დევნა დაიწყო, წმიდა ივლიტამ, იმის შიშით, რომ სატანჯველებს ვერ გაუძლებდა, დატოვა მთელი სიმდიდრე, ნათესავები და შვილთან ერთად ტარსუს მიაშურა. აქ ნეტარი მდაბიოთა და გლახაკთა შორის ცხოვრობდა. გარეგნულად თითქოს არაფრით განირჩეოდა მათგან, მაგრამ ავმა ენამ მმართველ ალექსანდრესთან დაასმინა. ივლიტა თავისი სამი წლის ძით ხელში სამსჯავროზე გამოცხადდა. როცა მმართველმა სახელი, გვარტომობა და სადაურობა ჰკითხა, წმიდანმა ახოვნად მიუგო: „მე ქრისტიანი ვარ! ეს სიტყვა მეტყველებს ჩემს ვინაობაზეც და კეთილშობილებაზეც——ჩემი სამშობლო კი ზეციური იერუსალიმია!“ კადნიერი პასუხით განრისხებული მსაჯულის ბრძანებით ივლიტას შვილი ხელიდან გამოგლიჯეს და ხარის ძარღვებით დაუნდობლად დაუწყეს ცემა. დედის წამების შემყურე კვირიკე ტიროდა, ხელებს ასავსავებდა, ფეხებს ურტყამდა მტარვალებს და მათგან თავის გათავისუფლებას ცდილობდა. ბავშვის სილამაზით მოხიბლულმა ალექსანდრემ თავისთან მიაყვანინა იგი, კალთაში ჩაისვა და ფერება დაუწყო, მაგრამ ყრმა არ ცხრებოდა, სახეს უკაწრავდა საძულველ ხელისუფალს, სიყვარულით იწევდა მშობლისაკენ და თან იძახდა: „მეც ქრისტიანი ვარ!“ გაავებულმა მსაჯულმა ბავშვი მიწაზე დაანარცხა და წიხლი ჰკრა. ჩვილი საფეხურებიდან თავის ხეთქებით ჩაგორდა კიბეზე, გასისხლიანებული დაასკდა ფილაქანს და სული უფალს შეჰვედრა.

როცა ივლიტამ შვილის ნეტარი აღსასრული იხილა, მადლობა შესწირა უფალს, მმართველმა კი, მის მოუდრეკელობაში კიდევ ერთხელ დარწმუნებულმა, წამების გაძლიერება ბრძანა: მარტვილს რკინის წვერბასრი იარაღებით დაუწყეს ჯიჯგნა, ჭრილობებში კი გამღვალ ფისს ასხამდნენ. ბოლოს კი თავი მოჰკვეთეს. მისი გვამი კვირიკეს ცხედართან ერთად ქალაქგარეთ დააგდეს მხეცებისა და ფრინველების საჯიჯგნად, მაგრამ ერთგულმა მხევლებმა მოახერხეს, რომ ღამით ფარულად დაეფლათ ისინი.

წმიდა კვირიკესა და ივლიტას მართლმადიდებელი ეკლესია 28 ივლისს იხსენიებს. განსაკუთრებით კი ამ დღესასწაულს ზემო სვანეთში, სოფელ კალაში აღნიშნავენ. კომენტარი კვირიკობის შესახებ ცაგერისა და სვანეთის ეპარქიის მღვდელს, მამა იოსებს ვთხოვეთ: „სვანეთი ყოველთვის გამორჩეული იყო სარწმუნოებრივი და ტრადიციული ადათ-წესებით. აქ არის ტრადიციული მედიატორული წესი, რაც შემრიგებლურ სასამართლოს ნიშნავს. ამ წესის თანახმად სამართალი განირჩეოდა ხატზე დაფიცების წესით. მედიატორები ხატზე დააფიცებდნენ ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს. შემდეგ თვითონ იფიცებდნენ, რომ ტენდენციური არ იქნებოდნენ და საბოლოოდ ხდებოდა შერიგება. აქედან გამომდინარე, ამ ხალხში ყოველთვის არსებობდა ღვთის შიში, კრძალვა სარწმუნოებისადმი.

ათეისტურმა პერიოდმა თავისი დაღი სვანეთსაც დაამჩნია, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სვანეთის სულიერ ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა, სვანეთში მაინც აღნიშნავდნენ ტრადიციულ დღესასწაულებს. კვირიკობის დღესასწაულს ამ კუთხეში განსაკუთრებულად აღნიშნავენ. სოფელ კალაში სხვადასხვა კუთხიდან ამ დღეს უამრავი ხალხი იყრის თავს. თვითონ ტაძარში არის ბევრი სიმწინდე, მათ შორის ერთ ხატს უფლის ჯვარცმას (რომელსაც იქაურები „შალიანის“ ხატს უძახიან), ერთ-ერთი ვერსიით ვინმე შალიანს წამოუღია იმერეთი-

წმიდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძრის სამრეკლო სოფ. კალაში.

დან, სხვა ვერსიით ხატი ლენტეხიდან მიჰქონდათ ზემო სვანეთში, შემდეგ მოხდა ისე, რომ ხატი დაატოვებინეს სოფელ კალაში და აშენეს ეკლესია. დაახლოებით XIII-XV საუკუნეებში მას დაერქვა წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია.

ინტერესმოკლებული არ იქნება პატარა ისტორიაც, რომელიც ამ ტაძართანაა დაკავშირებული: როგორც ზევით აღვნიშნე, ამ ეკლესიაში არის სიწმინდეები. უკეთურმა ძალებმა მოახდინეს ამ სიწმინდეების მოპარვა. სოფლის მოსახლეობამ ეს ამბავი მოგვიანებით შეიტყო და ვერ გაარკვიეს რომელ მხარეს წავიდნენ მძარცველები. მოხდა სასწაული, ხატის მძარცველებს გზა აებნათ და იმ ადგილზე აღმოჩნდნენ, საიდანაც ეს ხატები მოიპარეს. სოფლის მოსახლეობამ მათ საშინელი განაჩენი გამოუტანა, მძარცველები ჩაქოლეს.

წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი მოხსენიებულია, როგორც მონასტერი. XIX საუკუნის დასაწყისში ამ მონასტერში მეფის ასული თეკლა აღკვეცილა მონაზვნად.

დიდი სიყვარულით გილოცავთ კვირიკობის დღესასწაულს. ვუსურვებდი ყველა ქართველს ერთიანობას, ღმერთმა გვანახოს ჭეშმარიტი სარწმუნოების ქვეშ გაერთიანებული საქართველო“...

ეკატერინე ბენდელიანი

თვალის ერთი გადავლებით

აქ 60-მდე უმწეო სადილობს

ცუდი განზრახვით ნამდვილად არ ვსტუმრებივართ იმ დღეს გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილების უფასო სასადილოს. აქ ჩვენი რაიონის მიუსაფართა და უმწეოთა ფენა იკვებება. გვინდოდა ამ კეთილი საქმისათვის მეტი გულშემატკივარი გაგვეჩინა, ბევრისთვის დაგვენახვებინა რას ჰქვია ზრუნვა მიუსაფარ მოყვასზე, სასადილოში აღრიცხვაზე აყვანილი უმწეო მდგომარეობაში მყოფების მადლიერების მოსმენაც გვინდოდა, მაგრამ...

სადილი ის-ის იყო იწყებოდა. მაგიდებს თანდათანობით ემატებოდნენ. ზოგმა რიდითა და მოკრძალებით შემოგვხედა „არამკითხე“ სტუმრებს, ზოგიც ცნობისმოყვარე თვალითაც გვიცქერდა—რა განზრახვით არიანო ნეტავ?

მეგზურად სოციალური დახმარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, სასადილოს კურიერი ბატონი ლაშა კვირკაშვილი გავიყოლეთ. ლაშა სასადილოს ხელმძღვანელად სულ ახალი დანიშნულია. ბევრი სამომავლო გეგმები აქვს, კვების რაციონის გაუმჯობესებაზეც ფიქრობს: „ჩვენთან, სასადილოში სულ 80 კაცი სადილობს, 60-ადგილზე, 20 მათგანს კი ბინაზე მიტანით ემსახურება ლეილა კალანდაძე. მოსადილეთა შორის არიან უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიც. ძირითად საკვებს ლობიო, თავზის კონსერვი და პური (350 გრ.) შეადგენს. ძირითადი დამფინანსებელი გაეროს სასურსათო პროგრამის ქუთაისის რეგიონალური ცენტრია (ხელმძღვანელი მარინა ქუთათელაძე). ერთ შემოტანაზე სამი თვის პროდუქტი მოგვაქვს. რაც შეეხება პურს—ადგილზე გვემსახურება ერთ-ერთი შ.პ.ს. და მას მომსახურეობის 7%-ს ვუხდით, თან მომსახურებაში 10 ლიტრ ბენზინსაც ვაძლევთ. აღსანიშნავია ის ფაქტი. რომ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში ეს ერთადერთი სასადილოა, რომლის ორგანიზებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი განყოფილების ყოფილ ხელმძღვანელს, აწ განსვენებულ გულნაზ კოპალიანს. გვყავს ორი მზარეული (ლია კვირიკაშვილი, გულო ახვლედიანი), რომლებსაც ბოლო სამი თვის ხელფასი მიუღებელი აქვთ. შეფერხებები გვაქვს ბიუჯეტიდან, არადა გვჭირდება მარილის, ტომატის, მწვანილის, ხახვის, ნიორის შესაძენი თანხები. ხომ ხედავთ, შეჭირვებულები მოდიან არა მარტო ქალაქის ცენტრიდან, არამედ სოფლებიდანაც (ზუბი, გვესო, ქვედა ცაგერი) და სხვა. ჩვენ, რადგან ამ ძნელ და რთულ, ამავე დროს ქველმოქმედ საქმეს ხელი მოვკიდეთ თავს არ შევირცხვენთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს გავაუმჯობესებთ. ხომ იცით, დღეს ადვილად არაფერი კეთდება, ყველაფერს დრო და მონდომება სჭირდება.“

გავესაუბრეთ რამდენიმე უმწეოს.

მზია გვიშიანი-(დიაბეტიანი)—„ერთი წელია რაც აქ ვსადილობ, მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდი მყავს, ლოგინიდან თითქმის ვერ გადმოდის, ამიტომ მისი ულუფა სახლში მიმაქვს. კმაყოფილი ვარ“.

ნორა ირემაძე—„მესამედ ვსადილობ, რა ქნან, რაც აქვთ გვეხმარებიან. პური ნამდვილად გვყოფნის. საპრეტენზიო არაფერი გვაქვს. სუფთად და ლამაზად გვემსახურებიან, დაბნელებულია და დაქცეულია ქვეყანა და ამასაც რომ ახერხებენ გვიკვირს. რომ შეიძლებოდეს კიდევ დიდ სამადლობელს ვიტყვი.“

გურგენ ჩაკვეტაძე—(ზუბი)—8 თვეა რაც აქ დავდივარ. რაც საშუალება აქვთ გვეხმარებიან. ფეხით დავდივარ ზუბიდან ყოველდღე. ცოტა ტკბილი წყალი ან კისელი რომ იქნებოდეს, მთლად კარგი იქნებოდა. ხანდახან მგონია, პროდუქტს გვიგზავნიან, მაგრამ სადღაც უხვევს“...

იოლანა ჩაკვეტაძე—„მაქსიმუმს აკეთებენ, ადამიანურად გვეპყრობიან, საოცრად გულისხმიერი მომსახურება. ერთხელ ვერ მივედი და ჩემი წილი პურიც კი დამახვედრეს. დიდი ავტორიტეტიანი და შანსიანი კაცია ჩვენი კურატორი.“

* * *

ეს ძალიან კარგი, მაგრამ ყველაფერი ასე ლამაზად არ დამთავრებულა. იმ დარბაზში უკმაყოფილო ხალხის კატეგორიაც იჯდა–ერთმა მათგანმა, **დალი ახვლედიანმა,** ეტყობა ყველაზე მეტად თამამმა, ხმა ამოიღო და ძალიანაც ხმა მაღალიც გამოუვიდა:

„მათხოვრები კი ვართ, მაგრამ მთლად ნუ დაგვამათხოვრებთ. რა არის ეს, ცარიელი წყალი, მწვანილი ამას არა აქვს და ზეთი. ვიცი, სხვებსაც უნდათ ხმის ამოღება, მაგრამ ვერ ბედავენ.“

ჩვენი ვიზიტის მეორე და მესამე დღეს სასადილოს ზოგიერთმა „მუშტრებმა“ ჩვენთან შეხმიანება ანონიმურად მოახერხეს და გვითხრეს „რა მოიტანა ნეტავ თქვენმა სასადილოში სტუმრობამ. იმ დღეს სუპი მაინც გვქონდა, რომ წახვედით ორი დღეს მარტო პურს გვაჭმევდნენო. ალბათ ხმის ამოღებისთვის დაგვსაჯესო“...

ბევრ რამეში არ ვიცი, მაგრამ ამ უკანასკნელს იმაში ნამდვილად ვეთანხმები, რაც ვიზუალურად დავინახეთ—(სუპის გასინჯვის სურვილი არც გაგვჩენია)—ეს იყო გამჭვირვალე წყლის მასა, რადგან ნორმების დაცვით თურმე უკეთესის გაკეთება არ ხერხდება. ამასობაში ქალბატონმა ლეილა კალანდაძემ სიცხის ხვატით თავმობეზრებულმა უკან მოაბრუნა მწოლიარე უმწეოების ულუფები, რადგან თურმე ერთის გარდა, არც ერთმა მათგანმა არ ისურვა მისი მიღება.

სასადილოს კურატორი მოთმინებით ისმენდა დამსახურებულ და ზოგჯერ დაუმსახურებელ შენიშვნებს და მდგომარეობის გამოსწორებაზე გვესაუბრებოდა.

იმ დღეს გულდამძიმებულები წამოვედით—რა შეჭირვებულია ჩვენი მოსახლეობის ეს ფენა, იმდენად შეჭირვებულია, რომ ზოგი თავმოყვარეობასაც კარგავს, ნერვებსაც ვეღარ თოკავს.

მთლად უმადურობაც არ შეიძლება ხალხო! სოციალური დახმარების განყოფილების ახალი ხელმძღვანელი აკაკი პირველი და მათი კურატორი ლაშა კვირიკაშვილი მალე მდგომარეობის მკვეთრ გამოსწორებასაც გვპირდებიან.

კაცი იმედით ცოცხლობს.

მარინა სვანიძე
ეკა ბენდელიანი

P.S. ჩვენი ვიზიტის შემდეგ ელექტროენერგიის მომარაგებაში პრობლემები გაჩნდა. ასე, რომ საკვებს ვეღარ ხარშავენ. ხომ შეიძლება ხელის შეშლის მაგივრად, ხელი შეეწყოთ სასადილოს მესვეურებს, მათაც ხომ გვერდში დგომა სჭირდებათ.

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მაჩვენებლები 2001 წლის საუკეთესო ბიზნესმენთა გამოსავლენად ერთიანი მეურნეობის ცალკეული დარგების და ქვედარგების მიხედვით

საწარმოს 2001 წლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

დაწესებულების სრული დასახელება	
მისამართი	იურიდიული:
	ფაქტობრივი:
დაწესებულების სტატისტიკური საიდენტიფიკაციო კოდი:	
ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა:	
ძირითადი საქმიანობა:	
უმთავრესი არაძირითადი საქმიანობა:	

1. დასაქმება –

მოქუშავეთა საშუალო წლიური რაოდენობა,

სულ, კაცი .....

გთხოვთ, მონაცემი ჩაწეროთ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შემუშავებული სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვების, მზვილ და საშუალო სწა 2001 წლის საქმიანობის გამოკვლევის ფორმა № 03. 01. 02. - ის 104 – სტრ შესაბამისად.

2. რეალიზაცია –

რეალიზებული პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წასებში დ.ღ.გ.-სა და აქციზის გარეშე (მთლიანი ბრუნვა)

(საწარმოში, სულ) .....
(ათასი ლარი, მეათედი ნიშნის სიზუსტით)

გთხოვთ, მონაცემი ჩაწეროთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2001 წლის საწარმო ბალანსის, ფორმა №1-ის მიხედვით.

3. მოგება, ზარალი –

წლიური წმინდა მოგება(+) (ზარალი (-))

(საწარმოში, სულ) .....
(ათასი ლარი, მეათედი ნიშნის სიზუსტით)

გთხოვთ, მონაცემი ჩაწეროთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2001 წლის საწარმო ბალანსის, ფორმა №1-ის მიხედვით.

მცირე და ინდივიდუალური საწარმოთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ატარებს კონკურს „ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი—2001 წელი“.

კონკურსში მონაწილეობენ საქართველოს ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე წარმატებით მომუშავე მცირე და ინდივიდუალურმა საწარმოებმა, რომლებიც ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში ფუნქციონირებენ.

კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ საქართველოს პრეზიდენტის სახელობითი მედალი და დიპლომი, მიეცემათ რეკომენდაცია მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსში—„მშვიდობიანი და ძლიერი კავკასია“.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დამთავრდება მიმდინარე წლის 15 სექტემბერს.

ის ორგანიზაციები, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებული და სურთ კონკურსში მონაწილეობა ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ:

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №29. T/Fax 932996 www. business-contest. ge

საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში რეგისტრირებული ორგანიზაციები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაუკავშირდნენ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგეობებს.

საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებული ოფიციალური გამოცემათა სამსახურის მარკეტინგის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

მკითხველთან!

ვცდილობთ ჩვენს გაზეთში რაიონის ცხოვრების ყველა სფერო მოვიცვათ. ამას ასე თუ ისე, გაჭირვებით ვახერხებთ „ახალი ლეჩხუმის“ პერიოდულობის გამო.

ამას წინათ აღმოვაჩინეთ, რომ უშიშროების სამსახურის რაიონული რგოლი ყურადღების მიღმა გვყავდა დარჩენილი და... ოლეგ ბენდელიანთან დაკონტაქტება ვცადეთ.

ნურას უკაცრავად! რომ მოგვენდომებინა მინისტრთან, ვალერი ხაბურძანიასთან უფრო ადვილად მოვახერხებდით ინტერვიუს, უშიშროების ადგილობრივმა შეფმა კი დღე–ხვალის ძახლში ინტერვიუს გარეშე დგვტოვა და... ამასობაში გაზეთის გამოსვლის დროც დადგა.

ბატონო ოლეგ! ცუდი არაფერი გვდო გუნებაში.

გვინდოდა, თქვენი მუშაობის პრობლემები და სირთულეები წინა პლანზე წამოგვეწია, გულწრფელად კარგი ინტერვიუ გვინდოდა გამოსულიყო!

რედაქცია

სადაურსა სად წაიყვან...

ვიხსენებ 1973 წლის გაზაფხულს. ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში ქ. მოსკოვში ადგილობრივი „სპარტაკი“ მასპინძლობდა თბილისის „დინამოს“. ტრადიციულ მეტოქეთა მატჩი, რომელიც ცენტრალური ტელევიზიით გადმოიცა, იყო ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი და იგი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სადღეისო ჩემპიონატთა ლიგის რომელიმე მაღალი დონის შეხვედრას. თამაში „სპარტაკმა“ მოიგო ანგარიშით 3:1. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯემალ სილაგაძე––საშუალო სიმაღლის მარჯვენა გარემარბი, რომელმაც თავისი აქტიური თამაშით დიდი როლი ითამაშა „სპარტაკის“ გამარჯვებაში. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა...

ცნობილი ფეხბურთელის ჯემალ სილაგაძის ლეჩხუმთან კავშირმა ინტერესი აღმიძრა მისი შემდგომი ბედიღბლის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოპოვებისათვის. ამ საქმეში დახმარება გამიწია რუსეთში ქ. სოჭში მცხოვრებმა ცაგერელმა ინჟინერმა ბატონმა გენადი სილაგაძემ, რომელიც ჩემი თხოვნით მივიდა ჯემალ სილაგაძის ოჯახის წევრებთან და იქედან ჩამომიტანა მასალები სახელოვანი სპორტსმენის სპორტული ბიოგრაფიიდან––უნიკალური ფოტოსურათები, საგაზეთო პუბლიკაციები და სხვა. როგორც გენადიმ მითხრა ჯ. სილაგაძის ახლობლებმა ძალიან გაიხარეს და თურმე დიდი მადლიერება გამოხატეს.

აღნიშნული მასალები წერილთან ერთად მივაწოდე გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ რედაქციას, რომელიც (სამწუხაროდ) ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ მალე გაუქმდა და ჩემი გარჯა უშედეგო აღმოჩნდა.

თავს მოვალედ ვთვლი გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ მკითხველს მოვუთხრო ჯემალ სილაგაძის შესახებ.

საბჭოთა პერიოდის ქართველი ლეგიონერი ჯემალ სილაგაძე დაიბადა 1947 წელს რუსეთში ქ. სოჭში. მისი მამა ძმებთან ერთად გასული საუკუნის ორმოციან წლებში საცხოვრებლად გადავიდა ლეჩხუმიდან (სოფელი წილამიერი) ქალაქ სოჭში და დასახლდა სოფელ „პლასტუნკაში“.

საბავშვო ფეხბურთში აქტიური, საინტერესო კარიერის შემდეგ გამოდიოდა სხვადასხვა გუნდებში, მათ შორის აღსანიშნავია კოსტრომის „სპარტაკი, სმოლენსკის „ისკრა“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

1969 წელს მოსკოვის „სპარტაკი“ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში. ლეგენდარული გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა ორი ქართველი ანზორ კავაზაშვილი და ჯემალ სილაგაძე.

საბჭოთა კავშირისა და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის მოსკოვის „სპარტაკის“ რიგებში მრავალწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ჯ. სილაგაძე გახდა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრი.

სახელგანთქმული ფეხბურთელის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 70-იანი წლების მეორე ნახევარში ანზორ კავაზაშვილთან ერთად მშობლიურ საქართველოში, ქუთაისში ჩამოსვლა და პირადი წელილის შეტანა ქუთაისის „ტორპედოს“ უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად. კარგად მახსოვს ჯ. სილაგაძის მიერ გატანილი არაერთი გოლი ქუთაისელთა სასარგებლოდ. თუმცა საბოლოო მიზანი მიღწეული ვერ იქნა, მან თავის მეგობართან ერთად დაამტკიცა, რომ სულით და ხორცით ქართველი იყო.

როგორც ფეხბურთელმა კარიერა რუსეთში ქ. სმოლენსკში დაასრულა. იქ დამკვიდრდა, შექმნა ოჯახი და გახდა ფეხბურთის მწვრთნელი.

მაშინ, როცა 90-იანი წლების დასაწყისში დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქ სმოლენსკში

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ფელეტონის მაგიერ

კეპტიქებით ტურისტული ფირმა „ინკოგნიტო“



ჩვენთან ზაფხული ცხელი იცის. წლევანდელი ზაფხული კი გამონაკლისი იყო. მთელი ივნისი—წვიმა, ქარი, წყალდიდობა, ისევ ქარი, ისევ წვიმა, მაგრამ პოეტისა არ იყოს „წვიმდა და ისევ მზე გამოვიდა და გავიშვირე მზისკენ ხელები“, ამინდს „გაახსენდა“, რომ ზაფხული ძალაშია და დააჭირა, მაგრამ რა დააჭირა!.. ჩვენც გაგვიჩნდა სურვილი ზაფხულის 10 დღე მაინც ზღვისპირა ქალაქში გავატაროთ. ჩვენებური „ლაშიჭალა-ახალჭალა“ ყელში გვაქვს ამოსული. ტყეში ყოფნა მოწყენილი გვაქვს. მაგრამ უბედურებს ჯიბის ბიუჯეტი ისეთი მწირი გვაქვს, ოყურეშს იქით გზას ვერ გავიგნებთ. გამოცდილი ხალხისგან გამიგონია. „ყველა გასაჭირიდან არსებობს გამოსავალიო“... ჰოდა, ძვირფასო ლეჩხუმელებო! დასასვენებელი გარემო თავად უნდა შევიქმნათ. მოთმინება, მოთმინება... რამდენიმე წინადადების შემდეგ გაეცნობით პირობებს, თქვენს დასვენებაზე ზრუნავს ტურისტული ფირმა „ინკოგნიტო“ და გიწვევთ „ზღვაზე“ დასასვენებლად. დამერწმუნეთ, აქ გატარებული დღეები შეუდარებელი იქნება და არაფრით ჩამოუვარდება „ოქროს ქვიშებზე“ გატარებულ დღეებს, თანაც დასვენება ზოგისთვის უფასოა, ზოგისთვის ნისიად შეიძლება, ზოგი კი ლობიო, მჭადის ფქვილს, ყველს მიაწვდის ფირმის პრეზიდენტს და ამით დამთავრდება ყველაფერი... გვენდეთ და დარწმუნდებით, რომ დამსვენებელიც ნასიამოვნები დარჩება და აქედან გამომდინარე, ფირმა, რომლის პრეზიდენტი არა მის გამდიდრებაზე ფიქრობს, არამედ თქვენს სიამოვნებაზე...

ქალაქის ცენტრში, ყოფილი უნივერმაღის სახურავის თავზე ბუნებრივად, ჩვენს „დაუკითხავად“ მშვენიერი, იშვიათი „ტროპიკული“ ხეებია ამოსული (ასეთი „ჯიშები“ სპეციალურად ჩამოაქვთ ხოლმე ტროპიკული ქვეყნებიდან). იქვე ფირმა ხელშეკრულებით მთელი უნივერმაღის ფართობზე ხელოვნურ ზღვასაც აკეთებს, ნიჟარები და „ნაირფერი“ ზღვის ქვები უკვე ჩამოტანილია ანტალიიდან და 10 დღის შედეგ ჩვენი „პლაჟიც“ მზადყოფნაში იქნება... შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ!.. დაისვენეთ, გამოჯანმრთელდით, „მზისგან დაიბრაწეთ“, იქვე რომანტიკული საღამოებიც შეგიძლიათ მოაწყოთ, კოცონი დაანთოთ და ჰაერში გამოკიდებული, მთვარის შუქზე „სერენადებიც“ უძღვნათ შეყვარებულებს... თუ მოგინდებათ, „პლაჟის“ პირველ სართულზე ყველანაირ გამაგრილებელი სასმელს „სპრაიტს“, „კოკა-კოლას“ და „ფანტასაც“ შეიძენთ „პლაჟიდან“ იქვე პირდაპირ შეგიძლიათ ხინკალიც შეუკვეთოთ...

ჩვენმა რედაქციამ ეს საიდუმლო ინფორმაცია მოიპოვა, სიახლე გვინდა გაცნობოთ. გაგახაროთ და ამიტომ მოვლენებს წინ გავუსწარით... ამ სიამოვნებაზე უარს ნუ იტყვით... დაისვენეთ, გაერთეთ და ისიამოვნეთ...

რედაქცია

„გზას ვამბობთ, თორემ...“

ერთ მშვენიერ დღეს, თუკი ლეჩხუმისკენ ვინმეს გული გამოუწევს, უცილობლად ამ გზას გაივლის ჩინიანი თუ უჩინო. ნებისმიერ მგზავრს, რომელსაც ცაგერი-ქუთაისის გზით ერთხელ მაინც უსარგებლია, დისკომფორტის არასასიამოვნო შეგრძნება თან ახლავს ხოლმე და არა მარტო... გაუთავებელი ორმოების, ატალახებული გზის შემყურე, ალბათ, მრავალჯერ შეიკურთხეს კიდეც (ხან მისამართით, ხანაც უმისამართოდ...).

მერედა, რა დაუსრულებლად გაიჭიმება ხოლმე ისედაც გრძელი გზა, ხშირად ბევრ თქვენგანს, ალბათ, ისე დაგმართიათ, რომ ამბობენ—მოჩქარეს დაუგვიანდესო.

ამ რეპლიკით ვინმეს გაკილვა და გაკრიტიკება კი არ გვსურს, მაგრამ ყველანაირი „გზა მოიჭრა“ უკვე. ბოლოს და ბოლოს ვინ უნდა ითავოს ამ პრობლემის მოგვარება, ბოლოს და ბოლოს მერე უნდა გამოჩნდეს გზა, როცა „ურემი გადაბრუნდება?“ ზოგიერთ სპეციალისტთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ თუნდაც უმნიშვნელო სამუშაოების შესრულებაც აურაცხელ თანხებთანაა დაკავშირებული, თუმც ამ ბოლო დროს სოფლის გზების შესაკეთებლად არაერთი სასურსათო პროგრამა შემოვიდა და ამბობენ კიდევ შემოვაო. მაგრამ რა, თურმე ცაგერი-ქუთაისის გზის მონაკვეთი არც სასურსათო პროგრამით გაკეთებაში შედის და არც სახელმწიფოს აღარ სცხელა მისთვის. რატომ არავინ ფიქრობთ იმაზე, რომ ცოტა ხანში სრულიად უგზოოდ დავრჩებით ალბათ, რობიზონ კრუზოსავით მოვიკეტებით ამ ჩვენს კუნძულზე და „პარასკევას“ ჩამოსაყვანად თვითმფრინავისა და ვერტმფრენების დაქირავება ვფიქრობ, უფრო ძვირი დაგვიჯდება.

ახლა, ჩვენი წერილის ბოლოში ერთი ცნობილი ქართული მულტფილმი გამახსენდა—თხუნელას რომ ეკითხებიან—„გზა-გზაო“ „რა ვიცი, მარტო ვმუშაობ და როდის იქნება მზადო!“

ნეტავ ვინმემ თუ იცის—ცაგერი-ქუთაისის გზის მონაკვეთი როდის იქნება გასავლელად მზად?

რედაქცია

პოეტს, ბატონ დანიელ ხახიაშვილს ლეჩხუმის (და არა მარტო ლეჩხუმის) საშუალო და უფროსი თაობის მკითხველი კარგად იცნობს. განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც პოეზია ძალიან უყვარს.

ჩვენი შეხვედრა ბატონ დანიელთან საოცარ სიტუაციაში მოხდა და მართლაც, რომ დაგვატყვევა თავისი საუბრით. მან ბევრი საინტერესო ამბების შემდეგ ასეთი რამ გვიამბო:

ავტობუსით—ქუთაისი—ონით ვმგზავრობდი. ავტობუსი სოფელ ტვიშში ტაშის წყაროსთან შეჩერდა. ჩემს გვერდით მჯდომ ქალბატონს წყალი შევთავაზე. მან იუარა და დასძინა: „ეს წყალი ჩემი ნამზითვია და თავად უნდა შევსვაო“.

ბატონმა დანიელმა ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ ერთი, ლამაზი ლექსი შექმნა, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

ტაშის წყარო

ბავშვობაში ძალიან მყვარებია ტაშის წყალი, როდესაც გავთხოვდი, მშობლებმა და ბიძამ ტაშის წყალი მზითვად „გამატანეს“—ივონეს 80 წლის გადაცილებული **თებრო ახვლედიანი.**

მომენატრა ტაშის წყალი,
ბავი მიმეთების ცრემლის ცვარი,
ტვიში კლდეზე ასხლეტილი
აკვლავებთა გადმომსკდარი.
სამყარი, თანაც გრილი
შესასმელად, დასალბობად,
საქართველოს ცის კიმილი,
საქართველოს ტკბილი ნაბი.
ცის ლაჟვარდთან სიახლოვე,
თებრონის ნამზითევი,
სულში თავ ურ ჩავიკრავრე,
ისე რომ აფრინდები.
ისე რომ ჩავაფრო
ტვიშის კლდეებს მცხეთვარ მზეში,
რომ ურ შევსვა ტაშის წყარო,
ტაშის წყალი ერთი ჯეშვი.
რომა ვიცი თებრონ სულ
ჩანნულია წყარონ ხმაში,
თებრონ მზერა, თებრონ გულ
მესალმება დაკრულ ტაშთა.
მიტომ ვწვდები ცისკრის ზარებს
და მივფრინავ ფიქრთა ცაში,
სან მერცხლების ხმა მახარებს
ტაშის წყალი თებრონ ტაშთა.

რადგან მიერის სიყმაწვილე
და სოფლელებს სწვდება თავი.
ეაბა ახლა ძლივს ჩიფჩიფებს
ლეჩხეთელი ჟასტრძალი.
მაინც ფნდა იქცეს მზითვად.
ვერარ მალავს გულის წადილს,
ნეტავ მარა სად გაფრინდა
ის თეხმეცი წელიწადი.
ნეტავ წლები ოქრის წლები
დაიკარგა წყარონ ცრემლად,
ჩამოსცვივდა თებრონ ფრთები
ჩამოიქნა სულ ვერცხლად?
დიახ, თებრო, შენი „მზითევი“
კვლავ გადმოჩქეფს კლდეზე ტვიშად,
ბრონის ასი გადმოწვდილი
მგზავრთა გულის გასახარად.
ისევ მიერის, ისევ გულობს
ტაშის წყარო, ტაშის წყალი
მგზავრთა გულის სათავეთა,
თებრონის საფიცარი.
ქეთევანი—ონის გზაზე,
ტვიშის კლდიდან გადმომსკდარი,
ესალმება დიდი მგზავრებს,
ტაშის წყალი, ტაშის წყალი.

ინტერვიუ

„ძალზე მძიმეა ხელმძღვანელის ტვირთი“

(დასასრული)

რომ ჩემი მუშაობის უკმაყოფილო ვარ. არჩევნებთან დაკავშირებით უფლებამოსილების შეწყვეტისა და სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ბოლო ორი თვეა რაიონის ბიუჯეტი ნულამდეა დასული. ხელი დავაკელით სამეურნეო საქმიანობას.

ბევრი პრობლემა საქვეყნო პრობლემაა, რომელთა გადაჭრა ჩვენს კომპეტენციას აღემატება. დაუსაქმებელია ხალხი, არ განვითარდა კერძო მეურნეობები, კერძო რეწვა, განსაკუთრებით ხელფეხშეკრულია ახალგაზრდობა და გარბის, გარბის იძულებით.

რამდენად შეგვიძლია ეს პროცესი შევაჩეროთ?

მიგრაციის მართვის არანაირი საშუალება არ გვაქვს. ეს ქვეყნის ტრაგედიაა. ამას ხელს უწყობს უცხოური იდეოლოგიაც, გნებავთ, სარწმუნეობრივიც.

პრიორიტეტებში გამოვყოფდი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. ვგულისხმობ ინვესტორების მოზიდვას და მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით, რამდენჯერაც გნებავთ, დავსვით საკითხი, მაგრამ ამშინვე გაჩნდება ჩინოვნიკური წნეხი, ხელისშემშლელი ფაქტორები.

შარშან ჩვენ მოვატყვილეთ ხალხი. მხედველობაში გვაქვს ხელოვნური ბარიერები ყურძნის ჩაბარებასა და ანაზღაურებაში. წელსაც იგივე გამეორდება?

ხალხი თავად მოტყვილდა. ასეთია საბაზრო ეკონომიკის კანონი. ჩვენც დავაკელით ხელი, ვერ ვუპატრონეთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნდობის ფაქტორი ხელისუფლებისადმი, სამწუხაროდ, დაიკარგა. რთველის ბოლო დღეებში ისევ ჩვენ დავეხმარეთ ხალხს დარჩენილი ყურძნის ჩაბარება-ანაზღაურების საქმეში.

წელს ასე არ მოხდება. უკვე დავიწყეთ მუშაობა, რომ მოსახლეობას აუცილებლად ჰქონდეს ყურძნის ჩაბარებისა და ანაზღაურების გარანტია.

ხილი?

ხილის გადამუშავება_რეალიზაციას თუ გზა გაეხსნა, ხალხი ამოისუნთქავს, ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ბაზარი დავკარგეთ რუსეთის სახით. წალეკა საქართველო ამდენმა განუბაჟებელმა ნაწარმმა. თურქეთიდან შემოტანილი პამიდორი უნდა იყოს უფრო იაფი მაღლაკიდან შემოტანილზე?!

და მაინც ჩვენი პრობლემატიკიდან რას გამოყოფდით?

ამ წუთში ყველაზე დიდი პრობლემა სტიქიაა. რაც გვქონდა, იმასაც გვართმევს. ყველა დონეზე დავსვით საკითხი. ხელისუფლებისაგან ჯერჯერობით მხოლოდ დაპირების დონეზე ვართ. მივაღწიეთ იმას, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით, რომ ლეჩხუმის და ქვემო სვანეთი ეკოლოგიური უბედურების ზონად გამოცხადდა. უფრო დიდი მასშტაბებით განხორციელდება საერთაშორისო პროგრამები. მინდა იცოდეს ჩვენმა მოსახლეობამ, რომ ამ საქმეში დიდია ჩვენი დეპუტატის ძალისხმევა.

ამ დღეებში დაიწყება ცხენისწყლის კალაპოტში ჩაგდების სამუშაოები და იმას მაინც მოვახერხებთ პირველ ეტაპზე, რომ ფეხით მიმოსვლა შეიძლებოდეს ლასურიაშის მიმართულებით და პირიქით, თუმცა ეს ვერანაირად ვერ შეამსუბუქებს იმ ტრავმას, რაც სტიქიის გამო ცხენისწყალში ადამიანების დაღუპვამ გამოიწვია.

პრობლემების მოგვარებაზე ვსაუბრობთ: ჩვენ გვაქვს იმოდენა რესურსი, სამივე რაიონს რომ არ აქვს. თუ ლაჯანურჰესი სრული დატვირთვით იმუშავებს, გვექნება ძალიან დიდი შემოსავალი.

როდის ამუშავდება მთელი დატვირთვით?

სადგური ხანდაზმულია და ამოწურულია რეზერვები. დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები. წინასწარი ვარაუდით ჰესის დღე-ღამური გამომუშავება 110-115 მეგავატი იქნება. თუ ამის რეალიზაცია მოხდა და რა თქმა უნდა მოხდება, მხედველობაში მაქვს საზღვარგარეთთან დადებული ხელშეკრულება, ლეჩხუმში უდავოდ ახალი ერა დაიწყება. დღეს ბიუჯეტში ჰესიდან ყოველთვიურად 20.000 ლარი უნდა შემოდიოდეს და ისიც არ ხერხდება.

ჰესმა ლეჩხუმის ეკოლოგიური ბალანსი გამოუსწორებლად დაარღვია. ერთადერთი სიკეთე_სინათლე მოსახლეობას არ დაეშადლება. გადაუხდელობის მოტივით ხშირია გამორთვები, ჩაბნელებულია სოფლები. როგორ მოევლება ამას?

უდავოა, რომ ჰესმა ეკოლოგიური პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ ბევრი შეღავათიც მივიღეთ. მეორე მხარეა გადახდის კულტურა, რაც არ დევს ჩვენში. აბა, მიმოვიხედოთ, არც ერთ ოჯახში არ ანთია მამაპაპური შუა ცეცხლი, ყველა ელექტროენერგიაზე ვართ დამოკიდებული. 2-2 ლარი რომ გადაიხადოს თითოეულმა ოჯახმა, სინათლე სულ გვექნება. მოკლედ რომ ვთქვა, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია 20 პროცენტიანი გადახდა, და ამასაც ვერ ვახერხებთ. გვესმის ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობის, არც იმ კონტინგენტს ახრჩობს ვინმე__არანაირი საარსებო წყარო რომ არ მაქვს, მაგრამ 60 პროცენტს ნამდვილად გვაქვს გადახდის უნარი.

რა ვქნათ, ცენტრალური ხელისუფლებისაგან რომ ვითხოვთ, რაც ჩვენ შეგვიძლია, უნდა გავაკეთოთ, მიწის გადასახადისაგან გაგვათავისუფლეს. ცენტრალურ ბიუჯეტს უხეშად რომ ვთქვათ, კისერზე ვაზივართ__2 მილიონს გვაძლევს, ჩვენ 200000-საც ვერ ვაძლევთ...

გასაგებია. ერთი ასეთი კითხვაც: როგორი გუნდი მოვიდა ადგილობრივ ხელისუფლებაში, რა სტრუქტურული ცვლილებებია, საერთოდ და განსაკუთრებით სოფლის საკრებულოების ლობირების საქმეში?

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს კანონი ზედგამოჭრილი ვერ გამოდგა ჩვენისთანა ღარიბი რაიონისათვის. საკრებულოების ფუნქციები კი არა, ხარჯები შეიზღუდა მომავალ ბიუჯეტში შემცირებები უნდა წავიდეს. ეს გააძნელებს ჩვენს ყოფას განახლებულ სტრუქტურებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ერთიანი გუნდი ძირითადად არ შეცვლილა, რამდენიმე შეიცვალა, საიმედო, დასაყრდენი ძალაა, ჩემის აზრით. კარგია, რომ გუნდებში ოპოზიციაც არის წარმოდგენილი. თუ ამის საჭიროება შეიქმნება, ხუთეულს უფლება აქვს შეიკრიბოს, სამი კაცის ხმის უფლებით გადააყენოს ძველი და აირჩიოს ახალი.

ჩხუტელის საკრებულოს დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფა დადებითად აღიქმება ალბათ. ხომ არაფერი პრობლემა მოჰყვა, გნებავთ დაფინანსების, გნებავთ სხვა თვალსაზრისით?

არანაირი პრობლემა. წილობრივი გაყოფა მოხდა, რაიონული ბიუჯეტიდანაც გადავუნაწილეთ. ამ დამოუკიდებლობამ მოსახლეობის მდგომარეობა და ეკონომიკა უნდა გააუმჯობესოს. მომავალში ვფიქრობთ გავყოთ ღვირიშის და წიფერჩის საკრებულოები.

ძალიან მოკლედ თუ შეიძლება__რაიონის გამგეობისა და რაიონული საკრებულოს უფლებამოსილებათა, ინტერესთა თანხვედრის და ფუნქციური ცვლილებების შესახებ.

საერთოდ არ იყო საჭირო ორხელისუფლებიანობა. საკრებულო ხელისუფლება აღარ არის. ყველა საკითხი და მისი მართვა გადატანილია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. საკრებულოს ძირითად ფუნქციად რჩება საკონონმდებლო საქმიანობა.

როგორია ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და პრობლემები ამ მიმართულებით?

სახელმწიფო ბიუჯეტის თვალსაზრისით დიდი ჩამორჩენა არ გვაქვს.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების 6 თვით გეგმა 80,6 პროცენტითაა შესრულებული. არ შეიძლება არ გამოვკვეთოთ სატყეო მეურნეობის ცუდი მუშაობა, რომელმაც ბიუჯეტს 26000 ლარი დააკლო. როგორც ზევით ითქვა, დიდი დარღვევაა ჰესიდან თანხების მობილიზებაში.

3 თვეში მხოლოდ 15 ათასი ლარი შემოვიდა ბიუჯეტში. რაც შეეხება სატყეო მეურნეობის დირექტორს, მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე საკითხი დავსვით სატყეო დეპარტამენტში.

ხშირად გვედავებიან, აღარ არისო ხე-ტყის რესურსი, რა თქმა უნდა, ძალზე შემცირებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არის. მთავარია მისი სწორი ექსპლუატაცია.

ბიუჯეტის შევსების წყაროა პროდუქცია მისი შექმნა, რეალიზაცია და ბიუჯეტში მოხვედრა. უნდა შემოდიოდეს ქონების გადასახადი, ა.შ. და ა.შ. ყველაფერი ეს მოქმედებს ეკონომიკაზე. ფაქტიურად დღეს „გამოშიგნული“ ეკონომიკა გვაქვს.

სეკვესტრი წელსაც ხომ არ გვიშუქრება?

არა, მაგრამ ბიუჯეტის პარამეტრების შეუსრულებლობისთვის ზოგიერთ თანამდებობის პირს ნამდვილად ემუქრება სეკვესტრი.

ბატონო ონერ! წინ საპარლამენტო არჩევნებია. გვაინტერესებს თქვენის აზრით, როგორია ლეჩხუმელი ამომრჩევლის პოლიტიკური ნება, პოლიტიკური კულტურა. როგორ უყურებთ ინტელიგენციის როლს, მართავს თუ არა იგი, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით, საზოგადოებრივ ცნობიერებას, თუ პირიქით, ინტელიგენციას მართავს ვინმე. თუ არა ინტელიგენციას ვის ხელეწიფება ადამიანები სწორი პროპაგანდით მიიყვანოს სწორ გადაწყვეტილებამდე?

კარგი კითხვაა. გასულმა არჩევნებმა ბევრი რამ შეგვძინა. სამწუხაროდ, დღეს ყველაფერს ეკონომიკა მართავს. არჩევნებმა ნერვები დაუწყვიტა ხალხს, ხდება დაპირისპირება, შუღლი და მტრობა. სწორი პროპაგანდაა აუცილებელი და არამც და არამც მიკერძოება. ინტელიგენცია უნდა დადგეს მართლაც ავანგარდში და ღირსეულს დაუჭიროს მხარი. ჩვენ ვერაფერს ვერ დაგვპირდება დეპუტატი. მთავარია ღირსეული კანდიდატურა ავირჩიოთ. მე როგორც რაიონის ხელმძღვანელს, ჩემი ხედვა გამაჩნია, მხარს დავუჭერ იმას, ვისაც ღირსეულად მივიჩნევ.

კულუარებში ლაპარაკია იმაზე, რომ ონერ ნემსიწვერიძე ხელშეუხებელია, როგორც ნინო ბურჯანაძის ახლობელი. რას ნიშნავს თქვენთვის ბურჯანაძის ფაქტორი: პრივილეგიას, ღირებას, პასუხისმგელობას, ბარიერს თუ...

მინდა სწორად გამიგოთ, პირველად გამგებლის თანამდებობაზე რომ მოვედი, ნინო ბურჯანაძემ დანიშვნამდე არაფერი იცოდა. ცუდია ვინმეს ზურგს ამოფარებულიაო, რომ იტყვიან პიროვნებაზე. ამას წინათ ნინო ანანიაშვილის მამა მოვიდა ჩემთან პატარა საქმეზე, სამსახურებრივზე ძალზე მოკრძალებით, თავმდაბლურად. როცა შევიტყვე, ვინც იყო, გვითხრა: რა საჭიროა, მე მე ვარ, ჩემს საქმეს ვაკეთებო...

ბევრს ვფიქრობ იმაზე, თუ რამეს ვერ გავაკეთებ, ვიცი იტყვიან: ეს თავხედია, ბურჯანაძის ზურგს ამოფარებულიო. მე ყოველთვის დისტანციური ვარ. ნინოს ფაქტორი ჩემთვის გარკვეულწილად სასიამოვნოცაა, ტვირთია, მეტი პასუხისმგებლობაა და ზოგჯერ ბარიერიც.

დაბოლოს შეკითხა: მიუხედავად მძიმე ფონისა, თუ გიფიქრიათ, რომ არაფერს დაუტოვებთ თქვენეულს საკუთარ კუთხეს თქვენივე მოღვაწეობის ნიშანსვეტად?

მართლაც მძიმე სიტუაციაა დღეს, როცა პირველად მოვედი ამ თანამდებობაზე. ბედნიერად ვიგრძენი თავი__ძალიან თბილად შემხვდა ხალხი. თუმც იმთავითვე ვიცოდი, რომ მეორე დღიდან ეს ასე არ იქნებოდა, იმდენი ბარიერია, იმდენი სიძნელე, იმდენი პრობლემა.

მიუხედავად უდიდესი სურვილისა, წინასწარ ვერაფერს დავპირდები ხალხს. ვცდილობ ჩემთან მოსულ ადამიანს ტყუილი არ ვუთხრა, ზოგჯერ ვუთხრა უარი და მივცე იმედი, ვფიქრობ მეორედ მოსულს რა პასუხი გავცე. ერთ კაცსაც რომ ასიამოვნო, ერთ კაცს მაინც დაეხმარო, არ ნიშნავს ცოტას. დღეს ხელმძღვანელის ტვირთი ძალზე მძიმეა...

მზევინარ ძნელაძე
ეკა ბენდელიანი

სადაურსა სად წაიყვან...

(დასასრული)

პრობლემები შეიქმნა ადგილობრივი გუნდის რუსეთის ჩემპიონატის I ლიგაში ძალიან ცუდი შედეგების გამო, ხელმძღვანელობის, სპორტის მესვეურების უკანასკნელი იმედი ჯემალ სილაგაძე აღმოჩნდა. სწორედ ის დანიშნეს „ისკრას“ მთავარ მწვრთნელად.

ჯემალმა სწორად შეაფასა გუნდში შექმნილი მძიმე სიტუაცია და გატარებული გამჭრიახი გადაწყვეტილებების შედეგად უმოკლეს დროში სასიკეთოდ შეცვალა მდგომარეობა.

გასვლით მატჩების წარმატებული სერიის შემდეგ სმოლენსკის „ისკრას“ ფეხბურთელთა გუნდი გამარჯვებული შინ ბრუნდებოდა. თვითმფრინავით მრავალსაათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ გუნდმა საკუთარ იკარუსში გადაინაცვლა...

ქ. სმოლენსკამდე 30 კმ-ის დაშორებით ტრასაზე, მოხდა ავტოკატასტროფა, რის შედეგადაც დაღუპა იკარუსში მყოფი ორი პიროვნება ჯემალ სილაგაძე და ერთ-ერთი ფეხბურთელი, ოთხმა კაცმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

სმოლენსკის საქალაქო გაზეთის ფურცლებზე, რომელიც 1997 წლის 11 მაისით არის დათარიღებული, გამოქვეყნებულია წერილი „ჯემალ სილაგაძის უკანასკნელი მატჩი“, სადაც აღბეჭდილია ვრცელი მიმოხილვა ცნობილი ფეხბურთელის სპორტული ბიოგრაფიიდან. წერილის ბოლოს ეკითხულობთ, რომ ამავე წლის 29 აპრილს გაიმართა ჯ. სილაგაძის 50__წლის იუბილესთან დაკავშირებით ამხანაგური მატჩი__ადგილობრივმა „ისკრამ“ უმასპინძლა მოსკოვის „სპარტაკს“. ქ. სმოლენსკის ცენტრალურ სტადიონზე შეკრებილმა ათიათასობით ფეხბურთის გულშემატკივარმა კიდევ ერთხელ პატივი მიაგო სახელოვანი ფეხბურთელის ხსოვნას. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე რუსი კორესპონდენტის მგრძნობიარე გულის სიღრმემდე მიტანილმა ტკივილიანმა სტრიქონებმა ქართველი ფეხბურთის სპეციალისტის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯ. სილაგაძის ძმა ზაურ სილაგაძე იყო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, გასული საუკუნის 70-იან წლებში თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“, ახლო ნათესავებიდან აღსანიშნავია საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი ლევან სილაგაძე, რომელიც რუსეთში განაგრძობს საფეხბურთო კარიერას, მისი ძმა ლაშა სილაგაძე რუსთავის „გორდას“ გუნდის წევრია...

რაც ყველაზე სასიხარულოა, (როგორც გადმოცემით ვიცი) ჯემალ სილაგაძის შვილები მამის კვალს მიჰყვებიან და ოცნებობენ ითამაშონ დიდი ფეხბურთი.

ბობი კვირიკაშვილი

შემოდგომა ფუეში

მხატვარი__თვით ბუნებაა,
ჰოტი__ქარის ენა.
და ისეთ ლექსებს გვიამბობს
მსმენელს მოგვცეთ ლხენა.

ოოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ,
რკო, წაბლი, ხღმარტლი ბლომად.
კურთხეულია ეს მიწა
მით უფრო შემოდგომა.

ნაირფერების სიუხვეს
ფოთოლთ ფერებში ვამჩნევ__
__ან შვიდი ფერი რას გეუოფნის,
და ან შვიდასი ახალ.

მხატვარი__თვით ბუნებაა
რასაც არა ჰკავს სწორი,
ეს წვიმაც კონცერტს ატარებს
ვით ბრძენი დირიჟორი.

❖❖❖

როგორც ცხრა ძმის ჰოვნა ქართლში,
იანვარში შროშანის,
ისე ძნელი ეახდა ნახო
კაცი ჰატიოსანი.

ჭინარი ბუსაკი

ტკივილი

გაყშინ-სიმაყე, დღეს?



რედაქციაში ანონიმური სატელეფონო ზარი აწკრიალდა. კიდევ ერთი გულნატკენი ხანშიშესული მამაკაცის ხმა „გვაუწყებდა“ ერთ დროს ჩვენი სიამაყის მწვანე თეატრის იავარდქმნილი იერ-სახის შესახებ. კარგა ხანია გვინდოდა ამ თემას შევხმიანებოდით, მაგრამ თქვენმა სატელეფონო ზარმა ჩვენო ერთგულო მკითხველო, კატალიზატორის როლი ითამაშა და მურის ძველი ხიდისაკენ გავემართეთ. რამაგ მხეიძისეულ მწვანე თეატრს მხოლოდ სახელიღა შერჩენია „ნაშთად ძველი დიდებისა“. თეატრის ტერიტორია ყველა ჯურის პირუტყვის სასეირნო მოედნად ქცეულა, თეატრი სვანეთიდან ჩამოსულ „სტუმრებსაც“ მასპინძლობს—ვირთა სადგომადაც გამხდარა. თუმცა პირუტყვს რას ერჩი, როცა ბევრი ჩვენი თანამეინახეს ბახუსისგან „ტვინშეხურებულს“ ავიწყდება ნასუფრალი მიალაგოს. არადა ზევით ჩამოთვლილს ფონზე ერთი ყურმოკრული, მაგრამ სანდო-საიმედო ინფორმაციაც გაგვაჩნია, რომლის შინაარსი ასეთია: მწვანე თეატრს თურმე შტატით არც მცველი აკლია და არც გულშემატკივარი...

არადა ახლა სეზონია მწვანე თეატრზე, რამდენ სტუმართან შეიძლებოდა თავი მოგვეწონებინა, რამდენი კარგი კონცერტი, ლიტერატურული საღამო ჩაგვეტარებინა—...

დღეს კი როლები შეიცვალა... სანამდე ვუცქიროთ სცენაზე და პარტერზე (თუ ამ უკანასკნელთა სახეებიც შენარჩუნებულია...) მსხვილფეხა რქოსან პირუტყვებს და აუტანელ ანტისანიტარიას. სირცხვილია... აშენებით არავის შეუძლია რამის აშენება, მაგრამ ის რაც იყო იმის შენარჩუნება და გაფრთხილება ხომ შეიძლება ხალხო(?!), რომ კვლავ ისე „იგორმახოს“ მურის ძველ ხიდთან ძველებურმა, ლაღოსეულმა ლეჩხუმურმა სილამაზემ.

რედაქცია.

ომარ და მანანა ჭაბუკიანების ოჯახს

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს დიდ სიხარულს **ბგიადისა** და **ნანას** ბედნიერების გამო.

შვილთა სიმრავლე, სიკეთე, სიხარული, სილამაზე დაგბედებოდეთ.

გაზეთის რედაქცია.

მგეგინარ მეფგელიანს ბურიკო სგანიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი.

გფარავდეთ ღმერთი.

გაზეთის რედაქცია

ხსოვნა

მარიამ ახვლედიანი-ყურაშვილი

კიდევ ერთი დარბაისელი ქალბატონი წავიდა ჩვენგან—-რაიონის მთავარი სტომატოლოგი-ექიმი, ღვაწლმოსილი პიროვნება—-მარიამ ახვლედიანი-ყურაშვილი.

ამ დღეებში, გარდაცვალებიდან მე-40 დღეს, მისი სულის მოსახსენიებლად წირვა-ლოცვა აღევლინა ცაგერის ეკლესიაში, ერთხელ კიდევ ალალი ცრემლი დაედინა ვალმოხდილი მანდილოსნის საფლავს.

მარო ახვლედიანი მარტო ოჯახსა და ახლობლებს კი არა, ლეჩხუმს მოუკვდა. ათეული წლები მუშაობდა რაიონის მთავარ სტომატოლოგად. ყველას მისკენ მიუხაროდა, საოცარი მოფერება იცოდა, საოცარი დაყვავება.

ხელიც ისეთი „ტკბილი“ ჰქონდა და მადლიანი, ტკივილი დაგიამდებოდა. მუშაობდა, სხვისი ტკივილი ტკიოდა, მაქსიმალურად იხარჯებოდა... და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, კეთილ ღიმილს და სითბოს გამოგაყოლებდა...

შარშანდელმა წელმა მძიმე ტკივილი მიაყენა მეუღლე დაკარგა, სულიერი მეგობარი და ცხოვრების მეგზური.

ადამიანებს დააკლდა მარიამ ახვლედიანი—-ქალი ღირსეული, ექიმი უანგარო, პიროვნება გამორჩეული. 31 აგვისტოს მისი დაბადების დღეა, ალალი ზღვა ცრემლით, სანთლებითა და ყვავილებით გამოვხატავთ მისდამი უდიდეს პატივისცემას.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია.

ხსოვნა

დათო ბერიძე



კიდევ ერთხელ მოვიდა დათუნა შენი დაბადების დღე, კიდევ ერთხელ შევავედრეთ შენი სული მაცხოვარს, შენს საფლავსაც ვესტუმრეთ ზღვა ცრემლითა და ყვავილებით.

გაუსაძლისია ტკივილის ის შეგრძნება, რასაც უშენობა ჰქვია, ყველა ყმაწვილში შენ დაგეძებ, ყველგან შენ გეძახი და ველი, მოთმინებით ველი შენთან შეხვედრის ბედნიერ წუთებს.

დათუნა ყველას ძველებურად უყვარხარ, ყველას ძველებურად ახსოვხარ, ოღონდ ყველაფერს ამას დიდი სევდა ახლავს თან.

დედა.

ზურაბ სილაგაძე

უკვე მეორედ ვხვდებით ცრემლითა და გულისტკივილით შენს დაბადების დღეს. შენმა უდროოდ წასვლამ გული გვატკინა ყველას. ძნელი ყოფილა უშენობა. შენ ჩვენი დიდი სატკივარი ხარ, ჩვენო უზომოდ კეთილო ზურიკო. ყოველი დღე ჩვენთვის ცრემლიანი და ტკივილიანია.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს... გვენატრები და გვიყვარხარ!..

შენი ოჯახი.

რეზო ბენიძე



მამით ობოლი უჩუმრად, გულდამძიმებული დააბიჯებდი დედამიწაზე, ცდილობდი შვილებისთვის საოცარი სითბო და ალერსი მიგეცა, მამის ძალა გეგრძნობინებინა.

ალალი შრომით მიიკვლევდი გზას, არჩენდი ოჯახს, დაჰფოფინებდი წვრილ ცოლ-შვილს, სიცოცხლეს შეჰ ხაროდი და შენი ქალ-ვაჟის ნათელ მომავალს ხატავდი.

მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, მიგვატოვე და სრულიად ახალგაზრდა მარადიულ სასუფეველში გადასახლდი.

ვაგლახ, რომ შენს შვილებსაც მამის ბედი ერგოთ—-ობლობა, ეს ატყვიათ კიდეც—-თვალებში სევდა და ნაღველი ჩასდგომიათ. და მაინც ზოგჯერ ბავშვურად სჯერათ სასწაულისა—-იქნებ დაბრუნდესო, მამა...

მძიმეა ამ ყველაფრის ატანა, ქვრივის ლეჩაქის ტარება და ობლებისდედობა, რეზო!

მეუღლე ფატი ყურაშვილი-ბენიძე.

კაცობრიობა მრავალ ღირსეულ თასეულობებს ქმნის. საუკუნეები გადის, თასეულობები ისევ თასეულად რჩება, არ ხუნდება, არც იცვლება.
დღეს, შექსპირით გადავწყვიტეთ თქვენთან შეხმიანება. უკვდავი შექსპირით.

ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოტორების ტყვედ ჩავარდნილა-.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დამრჩეს.

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი.	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ:7-07-80, 7-34-99